საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია უახლოეს მომავალში შეიტანს დეპორტირებულთა ინდივიდუალურ საჩივრებს ევროპის სასამართლოში

მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დეპორტაციის პროცესი დაიწყო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შეუდგა მათი ინტერესების დაცვას და მოამზადა სარჩელი სტრასბურგში გასაგზავნად.

ბოლო პერიოდში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ იუსტიციის სამინისტრო აღარ აპირებს საჩივრის შეტანას რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ იუსტიციის სამინისტროს ბუნდოვანი პასუხი მასმედიის მეშვეობით გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით სრულიად მიუღებელია.

მოვუწოდებთ იუსტიციის სამინისტროს დროულად და საჯაროდ დააფიქსიროს ოფიციალური პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რათა გავრცელებული ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში დეპორტირებულმა მოქალაქეებმა არ გაუშვან ევროპის სასამართლოსთვის მიმართვის 6 თვიანი ხანდაზმულობის ვადა და ინდივიდუალური საჩივრების მეშვეობით მაინც მოახერხონ თავიანთი დარღვეული უფლებების აღდგენა.

მიუხედავად იმისა, თუ რას გადაწყვეტს აღნიშნული სამინისტრო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია უახლოეს მომავალში შეიტანს დეპორტირებულთა ინდივიდუალურ საჩივრებს ევროპის სასამართლოში.